უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის სამ ვაკანსიაზე კანდიდატების შერჩევის პროცესის შეფასება

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის სამ ვაკანსიაზე კანდიდატების შერჩევის პროცესის შეფასება

თბილისი
2024

კვლევა მომზადდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით. პროგრამას ახორციელებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და მასში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ასახავდეს ზემოთ ნახსენები საერთაშორისო ორგანიზაციების შეხედულებას.

კვლევის ხელმძღვანელი: ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი: ნინო ნოზაძე

აიწყო და დაკაბადონდა
საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.
ჯ. კახიძის ქ. №15 თბილისი 0102 საქართველო
(+995 32) 295 23 53, 293 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება
კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

© 2024, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 4

კონკურსის გამოცხადება 5

გასაუბრებების მიმდინარეობა 8

საუკეთესო ქულების მქონე კანდიდატების გამოვლენა და ნომინირება პარლამენტში 9

კანდიდატთა შეფასების ფურცლები და დასაბუთება 11

პარლამენტში კანდიდატების შესაბამისობის შემოწმება, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მოსმენა და კენჭისყრა 13

შესავალი

კონსტიტუციური რეფორმის შედეგად, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს უზენაესი სასამართლოს წევრების ნომინირების უფლებამოსილება მიენიჭა.[1] სამოქალაქო საზოგადოება ამ ფაქტს თავიდანვე ეწინააღმდეგებოდა, რადგან ეს ცვლილება კიდევ უფრო მეტად გაამყარებდა საბჭოს ხელში კონცენტრირებულ ისედაც ფართო და უკონტროლო ძალაუფლებას.[2]

კონსტიტუციის ცვლილებების ამოქმედებიდან ერთი კვირის შემდეგ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს წარუდგინა კანდიდატთა სია, რომელიც დახურულ კარს მიღმა, პროცედურების დაცვის გარეშე, რამდენიმე მოსამართლის მიერ იყო შედგენილი. საზოგადოების პროტესტის შედეგად, სიაში წარმოდგენილმა პრეტენდენტებმა საკუთარი კანდიდატურები უკან გაიწვიეს.[3] მას შემდეგ კანონმდებლობა და პროცედურები დაიხვეწა, მაგრამ პროცესის მიმართ ნდობა არ გაზრდილა. პრაქტიკაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ უზენაეს სასამართლოში არსებულ ვაკანსიებზე მოსამართლეებად გავლენიანი ჯგუფის მიმართ ლოიალურად განწყობილი პირები შეირჩნენ. ნომინირების პროცესი, წლებია, კრიტიკას იმსახურებს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან.

---

[1] საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლი. საკონსტიტუციო ცვლილებები ძალაში შევიდა 2018 წლის 16 დეკემბერს.

[2] კოალიციის მიმართვა ვენეციის კომისიისა და ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიუროსადმი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების შერჩევის კანონპროექტთან დაკავშირებით, კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, 2019 წლის 25 მარტი, ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/index.php?article_id=204&clang=0, განახლებულია: 23.07.24.

[3] ნოზაძე ნ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მონიტორინგის ანგარიში №8, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2020 წელი, გვ. 29, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3qTcutK, განახლებულია: 30.07.2024.

კონკურსის გამოცხადება

საერთო სასამართლოების შესახებ კანონის შესაბამისად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანსიის წარმოშობამდე არაუგვიანეს 3 თვისა ან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტიდან არაუგვიანეს 1 თვისა იუსტიციის უმაღლესი საბჭო დადგენილი წესით იწყებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის პროცედურას.[4]

2024 წლის 24 იანვარს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცესი სამ ვაკანსიაზე დაიწყო. უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ალექსანდრე წულაძეს 2023 წლის 28 დეკემბერს ვადაზე ადრე შეუწყდა უფლებამოსილება, ვინაიდან იგი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირველი მოადგილედ დაინიშნა. უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეებს - ზურაბ ძლიერიშვილსა და ნინო ბაქაქურს უფლებამოსილების ვადა 2024 წლის ოქტომბერში ეწურებათ. საბჭომ მათ ვაკანსიებზე კონკურსი ნაადრევად გამოაცხადა, რაც აჩენს ეჭვებს, რომ იუსტიციის საბჭო საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე ცდილობს, მოქმედი ხელისუფლებისგან მისთვის სასურველი კანდიდატების დანიშვნის თანხმობა მიიღოს.

განცხადებების მიღების ვადად 25 იანვრიდან 15 თებერვლის ჩათვლით პერიოდი განისაზღვრა.[5] 2024 წლის 22 თებერვლის სხდომაზე იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ კანდიდატად დაარეგისტრირა შერჩევის პროცესში მონაწილე 18 პირი.[6]

ერთ პირს, ლევან კოკორაშვილს, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე მის მიერ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ცნობის

---

[4] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[5] „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების განცხადებების მიღება დაიწყო“, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2023 წლის 25 იანვარი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/QVQvE, განახლებულია: 02.06.2024.

[6] „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველები კანდიდატებად დარეგისტრირდნენ“, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2024 წლის 23 თებერვალი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/JihH4, განახლებულია: 02.06.2024.

წარმოუდგენლობის გამო.[7] მოგვიანებით, კანდიდატთა სიას ხატია ჯავახიშვილი გამოაკლდა, ვინაიდან მან ქონებრივი დეკლარაცია და ნარკოლოგიური ცნობა არ წარადგინა.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასების პროცედურის სრულყოფილად განხორციელების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი სტრუქტურული ერთეული კანდიდატების შესახებ ინფორმაციის მოძიებას რეგისტრაციის დასრულებისთანავე იწყებს.[8] ეს ინფორმაცია გასაუბრებების დაწყებამდე არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა შესასწავლად გადაეცემა საბჭოს თითოეულ წევრს.[9]

ინფორმაციის მოძიებისას საფუძვლიანად უნდა გადამოწმდეს ინფორმაცია მათი პროფესიული რეპუტაციისა და საქმიანობის, კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სიზუსტის, აგრეთვე, მათ მიმართ წარსულში არსებული სისხლისსამართლებრივი/დისციპლინური დევნის ან/და ადმინისტრაციული წარმოების თაობაზე.[10] ინფორმაციების მოძიების პროცედურა 17 კანდიდატთან მიმართებით დაიწყო.[11] ეს მასალები შემდგომ საბჭოს წევრებს გადაეგზავნა. კანდიდატებს უფლება ჰქონდათ, მათზე მოძიებულ ინფორმაციებს საბჭოში გასცნობოდნენ.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 16 პირი. ერთი კი, გამოუცხადებლობის გამო, კონკურსიდან მოიხსნა.[12] 16-იდან 14 კანდიდატი იყო სამოსამართლო გამოცდილების მქონე, ხოლო 2 მათგანს (ალექსანდრე კობაიძე და თამარ ალფაიძე) ასეთი გამოცდილება არ ჰქონდა.

გასაუბრებების შემდეგ ორმა კონკურსანტმა - პაატა სილაგაძემ და მერაბ ლომიძემ კანდიდატურები მოხსნეს.[13] ისინი სააპელაციო სასამართლოს მოქმედი მოსამართლეები არიან. მათი გადაწყვეტილების მიზეზებზე საბჭოს სხდომაზე არ უსაუბრიათ.

კანდიდატებთან გასაუბრებები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში 27 მარტიდან 24 აპრილამდე მიმდინარეობდა. კანონის მოთხოვნის შე-

---

[7] იქვე.
[8] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34^2-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
[9] იქვე, 34^1-ე მუხლის მე-9 პუნქტი.
[10] იქვე, 34^2-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[11] იქვე, 34^2-ე მუხლი.
[12] გასაუბრებაზე გამოუცხადებლობის გამო, კონკურსიდან მოხსნეს კანდიდატი პაატა შავაძე.
[13] 2024 წლის 21 მაისის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომის მონიტორინგი.

საბამისად, ეს პროცესი YouTube-არხის მეშვეობით პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა, თუმცა, ხმის უხარისხობის გამო, რთული იყო კითხვა-პასუხის სრულად აღქმა. ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ გასაუბრების ვიდეოჩანაწერს მოგვიანებით მაინც დაერთოს სუბტიტრები, რათა ინფორმაციის მიღება შშმ პირებმაც შეძლონ. გარდა ამისა, კანდიდატთა შეფასებები არ არის მისაწვდომი სპეციალური ეკრანის წამკითხველისთვის.

გასაუბრებების მიმდინარეობა

დღის განმავლობაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ორ კანდიდატს ესაუბრებოდნენ. შეხვედრების ხანგრძლივობა, უმეტესად, ერთიდან ორ საათამდე მერყეობდა. ყველაზე დიდხანს გასაუბრება გაგრძელდა ალექსანდრე კობაიძესთან - 2 საათი და 11 წუთი, ხოლო ზურა ძლიერიშვილთან - 1 საათი და 30 წუთი, მაშინ, როდესაც, მაგალითად, ლაშა თავართქილაძესთან გასაუბრებას 58 წუთი დაეთმო. კანდიდატებთან შეხვედრებს, ძირითადად, საბჭოს 11-14 წევრი ესწრებოდა.

სხდომის თავმჯდომარე ყველა კანდიდატს ახსენებდა, რომ გასაუბრება მიმდინარეობდა საჯაროდ. ასევე ეკითხებოდა, თავად კანდიდატს ან საბჭოს წევრებს აცილების საფუძველი ხომ არ ჰქონდათ. კონკურსის მიმდინარეობისას აცილებისა და თვითაცილების ფაქტი არ გამოვლენილა. გასაუბრების დაწყებამდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის წარმომადგენელი აუდიტორიას კანდიდატის მოკლე ბიოგრაფიას აცნობდა. ამის შემდეგ კანდიდატს ეძლეოდა საშუალება, დაემატებინა ინფორმაცია კარიერული კომპონენტის ან მოტივაციის შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ დასმული შეკითხვების შინაარსი თითოეულ კანდიდატთან მიმართებით, მეტ-ნაკლებად, მსგავსი იყო. თუმცა, ერთ-ერთი გასაუბრება სრულად პროფესიულ კითხვებს მოიცავდა,[14] ერთ შემთხვევაში კი კანდიდატს საბჭოს წევრები სასამართლოს ირგვლივ მიმდინარე მოვლენებზე მოსაზრებებს ეკითხებოდნენ, მაგალითად, რას ფიქრობდა კეთილსინდისიერების შემოწმების მექანიზმზე, მართლმსაჯულების ოთხი ტალღის ფარგლებში ჩატარებულ რეფორმებსა და სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, ასევე, არასამთავრობო სექტორის მხრიდან სიტყვა „კლანის“ გამოყენება ზეწოლას ხომ არ ახდენდა სასამართლოზე და ა.შ.[15]

ზოგიერთ შემთხვევაში, თვალშისაცემი იყო მიმართულების მიმცემი შეკითხვები. მაგალითად, კანდიდატი საუბრობდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტთან დაკავშირებით, როდესაც საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა დამაზუსტებელი კითხვა ასეთი ფორმულირებით დაუსვა: „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ვერდიქტი ხომ არ არის სამართლიანი სასამართლოს პრინციპი?”

[14] გასაუბრება კანდიდატ გოჩა დიდავასთან.
[15] გასაუბრება კანდიდატ ზურაბ ძლიერიშვილთან.

საუკეთესო ქულების მქონე კანდიდატების გამოვლენა და ნომინირება პარლამენტში

21 მაისის სხდომაზე საბჭოს მდივანმა პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი შეაჯამა და განაცხადა, რომ საბჭოს თითოეულმა წევრმა შეავსო შეფასების ფურცლები, ასევე, წარადგინა წერილობითი დასაბუთებები, რომლებიც საბჭოს ვებგვერდზეც გამოქვეყნდა. შეფასებების მიხედვით, კონკურსში მონაწილე ყველა პრეტენდენტმა გადალახა კეთილსინდისიერებისა და კომპეტენციის კანონით დადგენილი ზღვარი, თუმცა უმაღლესი ქულები დააგროვეს ბადრი შონიამ,[16] გოჩა ჯეირანაშვილმა[17] და გიზო უბილავამ.[18] შესაბამისად, შემდგომ ეტაპზე სწორედ ეს სამი კანდიდატი გადავიდა.[19] ამ პროცესში მონაწილე კონკურსანტებს უფლება ჰქონდათ, განკარგულება უზენაესი სასამართლოს საკვალიფიკაციო პალატაში გაესაჩივრებინათ.[20] 30 მაისის სხდომაზე საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ ამ უფლებით არცერთ პირს არ უსარგებლია. ამავე სხდომაზე იუსტიციის საბჭოს 15-მა წევრმა პარლამენტისთვის წარსადგენად ბადრი შონიას, გოჩა ჯეირანაშვილსა და გიზო უბილავას ერთხმად დაუჭირა მხარი.

სამივე კანდიდატი უვადოდაა განწესებული. ბადრი შონია 2021-2023 წლებში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი იყო. სწორედ ამ კონკურსში მონაწილეობის გამო, მას ვადაზე ადრე, პირადი განცხადების საფუძველზე შეუწყდა უფლებამოსილება. 2019 წლიდან მას სხვადასხვა მენეჯერული თანამდებობა უკავია სისტემაში.[21] გოჩა ჯეირანაშვილი 2012-2018 წლებში ახალციხის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე იყო. ის 2019 წელსაც მონაწილეობდა უზენა-

---

[16] ბადრი შონია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/Xc2EF, განახლებულია: 22.05.2024.

[17] გოჩა ჯეირანაშვილი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ypubKO, განახლებულია: 22.05.2024.

[18] გიზო უბილავა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/yoN3n, განახლებულია: 22.05.2024.

[19] საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე კანდიდატების გადასვლის შესახებ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 21 მაისი N1/23 განკარგულება, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/HeJtK, განახლებულია: 01.06.2024.

[20] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34^3-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

[21] „გადამწყვეტი „ბრძოლა უზენაესი სასამართლოს ხელში ჩასაგდებად“ - ფინალი“, „რადიო თავისუფლება“, 2024 წლის 27 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/3GmBa, განახლებულია: 27.06.2024.

ესი სასამართლოს მოსამართლედ შესარჩევ კონკურსი, თუმცა მაშინ პარლამენტმა მის კანდიდატურას მხარი არ დაუჭირა.[22] გიზო უბილავა მოსამართლედ 2020 წელს დაინიშნა, მანამდე კი, 16 წლის განმავლობაში, პროკურატურაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა.[23]

გასაუბრებისას სამივე მათგანი ხაზგასმით საუბრობდა, რომ სასამართლო სწორი გზით ვითარდება და სისტემაში გავლენიანი მოსამართლეები არ არსებობენ. კანდიდატები ვერ ხედავდნენ სასამართლოში არსებულ პრობლემებს, ან თავს არიდებდნენ გამოწვევებზე საუბარს. ასეთი სწორხაზოვანი შეფასებები მათი მედეგობის მიმართ კიდევ უფრო მეტ კითხვებს აჩენდა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ უზენაესი სასამართლო ქვეყანაში ერთგვაროვან პრაქტიკას ამკვიდრებს და დარღვეული უფლებების დაცვის ბოლო ინსტანციაა, მისი მოსამართლეები კრიტიკული, მრავალმხრივი სამართლებრივი აზროვნებისა და ღირებულებებისადმი სიმტკიცის მაღალ სტანდარტს განსაკუთრებით უნდა აკმაყოფილებდნენ.

30 მაისის სხდომაზე იუსტიციის საბჭომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანსიაზე კონკურსი გამოაცხადა. განცხადებების მიიღება 31 მაისიდან 21 ივნისის ჩათვლით პერიოდში ჩაინიშნა.[24] აღსანიშნავია, რომ მოქმედ მოსამართლეს, ეკატერინე გასიტაშვილს, უფლებამოსილების ვადა 2025 წლის ივნისში გასდის.

[22] იქვე.
[23] იქვე.
[24] „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურა იწყება“, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი, 2024 წლის 30 მაისი, ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/e1evL, განახლებულია: 02.06.2024.

კანდიდატთა შეფასების ფურცლები და დასაბუთება

კანდიდატთა საჯარო მოსმენების დასრულების შემდგომ საბჭოს წევრები მათ კომპეტენტურობასა და კეთილსინდისიერებას ქულებით აფასებენ,[25] რასაც წერილობით ასაბუთებენ.[26]

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:

ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;

ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;

გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;

დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;

გ) ფინანსური ვალდებულება – მხოლოდ სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის ან რაიონული (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესებული მოსამართლის შეფასების შემთხვევაში.[27]

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:

ა) სამართლის ნორმების ცოდნა;

ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;

დ) პროფესიული თვისებები;

ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

ი) პროფესიული აქტივობა.[28]

14 კანდიდატის შესახებ გამოქვეყნებული შეფასების ფურცლებისა და დასაბუთებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ისინი, ხშირ შემთხვევაში, შაბლონურია. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმები საბჭოს ზოგიერთ წევრს იმგვარად აქვს შევსებული, რომ შეფასება, ზოგიერთ კომპონენტში დასაბუთების არარ-

[25] საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტი.
[26] იქვე.
[27] იქვე, 35[1]-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[28] იქვე.

სებობის გამო, არ არის მორგებული კონკრეტულ მოსამართლეზე და, შესაძლებელია, ნებისმიერ მათგანს მიემართებოდეს. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ არაერთ კომპონენტში შეფასებები შაბლონურია. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა კეთილსინდისიერების კომპონენტთან მიმართებით.

გარდა ამისა, დასკვნები ისეა ჩამოყალიბებული, რომ არ იკვეთება, რას დაეყრდნნენ საბჭოს წევრები მათი გაკეთებისას, მაშინ, როდესაც ისინი ვალდებულნი არიან, სათანადოდ დაასაბუთონ კანდიდატის კრიტერიუმებთან შესაბამისობა.[29] ამასთანავე, ზოგ შემთხვევაში ანგარიშებს არ ერთვის იმ დოკუმენტაციისა თუ სხვა მასალების ჩამონათვალი, რომლებითაც, შეიძლებოდა, საბჭოს წევრს ეხელმძღვანელა.

მნიშვნელოვანია, რომ შეფასებებში მითითებული არ იყოს მხოლოდ წყარო და რეკომენდატორები, არამედ გადამოწმებადი იყოს შესაბამისი დასკვნების დასაბუთებულობა.

მოსამართლის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას საბჭოს წევრები აღნიშნავენ, რომ ეყრდნობიან სხვადასხვა დაწესებულებიდან მოთხოვნილ მასალებს, პირთა გამოკითხვის გზით მიღებულ ინფორმაციას და ა.შ. თუმცა, დასკვნების კითხვისას რთულია იმის დადგენა, კონკრეტულად რა ინფორმაციამ მიიყვანა საბჭოს წევრი დადებით გადაწყვეტილებამდე.

კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მოსამართლის შეფასება, ძირითადად, ეყრდნობა მის მიერ განხილული კონკრეტული საქმეების შესწავლას. გაურკვეველია, რა მეთოდოლოგიით შეფასდა მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და აქვთ თუ არა საბჭოს წევრებს ამ კუთხით ერთიანი მიდგომები.

სამწუხაროა, რომ გაუმჯობესებულ პროცედურებსა და არსებულ კრიტერიუმებს გავლენიანი ჯგუფი მხოლოდ ფორმალური კანონიერების ხაზგასასმელად იყენებს. რეალურად კი, ისინი არ ემსახურება ღირსეული კანდიდატების გამოვლენას ან სამართლიანი გადაწყვეტილებების მიღებას.

[29] იქვე, 34[1]-ე მუხლის მე-12 პუნქტი.

პარლამენტში კანდიდატების შესაბამისობის შემოწმება, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში მოსმენა და კენჭისყრა

2024 წლის 4 ივნისს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენილი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით, სამუშაო ჯგუფი შექმნა.[30] 6 ივნისს გამართულ შეხვედრაზე, ჯგუფის წევრებმა მიიჩნიეს, რომ კანდიდატები ფორმალურ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ.[31]

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 20 ივნისის სხდომაზე საბჭოს მიერ წარდგენილ სამ კანდიდატს გაესაუბრნენ. მათ საჯარო სხდომაზე მოუსმინეს. გასაუბრებები ერთი საათი გრძელდებოდა. პროცესი ფართო საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჩართულობის გარეშე წარიმართა. რუსული კანონის მიღებამ, ძალადობის წახალისებამ და დაუსჯელობამ, ასევე, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის მანკიერმა პრაქტიკამ, თავისთავად, შეამცირა სამოქალაქო საზოგადოების და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ინტერესი, მონაწილეობა მიეღოთ ამ პროცესში. ასეთ პირობებში გასაუბრებების ჩატარებამ კიდევ უფრო შეამცირა მართლმსაჯულების რეალური გაჯანსაღების პერსპექტივა და ნდობა სასამართლო სისტემის მიმართ.

უფრო მეტიც, ეს პროცესი ეწინააღმდეგება ევროკომისიის რეკომენდაციის მოთხოვნებს, რომელიც უზენაესის სასამართლოს მოსამართლეებისა და მათ ვაკანსიებზე დასანიშნი კანდიდატების კეთილსინდისიერების შემოწმებას ითვალისწინებს.[32]

---

[30] „უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის ხელშეწყობის მიზნით სამუშაო ჯგუფი შეიქმნა“, პარლამენტის ვებგვერდი, 2024 წლის 4 ივნისი, ხელმისაწვდომია: https://www.parliament.ge/media/news/uzenaesi-sasamartlos-mosamartleobis-kandidatebis-kanonmdeblobis-motkhovnebtan-shesabamisobis-dadgenis-khelshetsqobis-miznit-samushao-jgufi-sheikmna, განახლებულია: 03.06.2024.

[31] იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა N2-9039/24, პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365854, განახლებულია: 05.06.2024.

[32] Georgia 2023 Report Accompanying the document Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions, (2023), გვ. 20-21, ხელმისაწვდომია: https://cutt.ly/jeuop3ix, განახლებულია: 25.06.2024.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის 9 წევრმა, კონსტიტუციასა და სხვა კანონებზე დაყრდნობით, წარდგენილ სამ კანდიდატს მხარი დაუჭირა. კომიტეტის მიერ მომზადებული დასკვნის მიხედვით, გადაწყვეტილების მიღებისას გათვალისწინებული იყო მათი კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა.[33]

27 ივნისის პლენარულ სესიაზე პარლამენტმა წარდგენილ კანდიდატებს კენჭი უყარა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ უვადოდ განწესება ფართო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ კონსენსუსს არ ემყარება, შესაბამისად, ამისთვის 76 ხმა საკმარისია.[34] პარლამენტმა თავდაპირველად კენჭი გიზო უბილავას კანდიდატურას უყარა. მას მხარი 80-მა დეპუტატმა დაუჭირა. უფლებამოსილების განხორციელებას ის მეორე დღიდანვე შეუდგა უზენაეს სასამართლოში.[35] ბადრი შონიამ და გოჩა ჯეირანაშვილმა 78-78 ხმა მიიღეს. უფლებამოსილების განხორციელებას ისინი 2024 წლის 18 ოქტომბრიდან დაიწყებენ, როცა მოქმედ მოსამართლეებს - ნინო ბაქაქურს და ზურაბ ძლიერიშვილს უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა ამოეწურებათ.

სისტემაში წამყვან თანამდებობაზე მყოფი პირების კეთილსინდისიერების შემოწმების მიზანი დამოუკიდებელი სასამართლოს ფორმირებაა. პროცესზე დაკვირვებამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭო - ორგანო, რომელიც უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატების ნომინირებას უზრუნველყოფს - თავად უნდა დაექვემდებაროს კეთილსინდისიერების შემოწმებას, ვინაიდან მას არ აქვს საზოგადოების ნდობა. შესაბამისად, გაჯანსაღებისა და ფუნდამენტური ცვლილებების გარეშე, სასამართლოში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანი პროცესი, განსაკუთრებით კი მოსამართლეების დანიშვნები, სისტემაში გავლენიანი ჯგუფის კიდევ უფრო მეტად გაძლიერებას უწყობს ხელს, ამყარებს კორპორატივიზმს და გვაშორებს ევროკავშირში გაწევრიანების მიზანთან.

[33] იქვე.
[34] საქართველოს კონსტიტუცია, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი.
[35] იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა, პარლამენტის ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/365854, განახლებულია: 05.06.2024.